კვლევა

ქვიარ ქალების საჭიროებები საქართველოში

2019

EQUALITY MOVEMENT

სარჩევი

შესავალი 2

თავი 1. რატომ ქვიარ ქალები? 4

მონაცემთა ანალიზი 5

თავი 2. ძალადობა 5

თავი 3. ეკონომიკური მდგომარეობა და განათლება 8

თავი 4. ჯანდაცვა 11

თავი 5. ბრძოლა საჯარო სივრცისთვის 14

თავი 6. კიბერ უსაფრთხოება და ციფრული აქტივიზმი 17

თავი 7. არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შეფასება 18

თავი 8. დასკვნა 21

გამოყენებული ლიტერატურა 23

ავტორი: მაია (ნუკრი) ტაბიძე

კვლევა ჩატარებულია „თანასწორობის მოძრაობის“ ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით

შესავალი

"ქალთა ჩაგვრის პროცესში ჰეტეროსექსუალობის როლის ანალიზი ყველა ქალისთვის მნიშვნელოვანია განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა. ამ ჩაგვრას, უპირველესად, ლესბოსელები განიცდიან, თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით. მათთვის ეს ჩაგვრა ცხადი და გასაგებია არა იმიტომ რომ უფრო მორალური არიან, არამედ იმიტომ, რომ სხვა რეალობაში უწევთ ცხოვრება, მატერიალურად განსხვავებულ რეალობაში. "

(Bunch, 1975)

ენაში, მედიცინაში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ყოველდღიურ ყოფაში კაცი უნივერსალური სუბიექტის - ადამიანის - სინონიმია. ამის საპირისპიროდ, ფემინისტებმა მრავალგვარად გააჟღერეს ქალების საჭიროებები და არაერთ წარმატებასაც მიაღწიეს, რომელიც ქალების უდიდეს ნაწილს შეეხო. სხვადასხვა მიდგომით ფემინისტებმა წინ წამოწიეს ქალების ეკონომიკური დაქვემდებარების, საჯარო სივრციდან გარიყვის, პოლიტიკური მონაწილეობის პრობლემები, დააკავშირეს ერთმანეთს ოჯახის ინსტიტუტის, მასკულინობის, ნაციონალიზმის კრიტიკა, თუმცა გაერთიანებას საფუძვლად ახალი უნივერსალობა - ქალის ჩაგრული კატეგორია დაედო.

საქართველოში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქალების საკითხებზე მუშაობს და სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს ძალადობის მსხვერპლ ქალებს. ნელ-ნელა საკანონმდებლო დონეზეც ვხედავთ ქალების მხარდამჭერ საკანონმდებლო ინიციატივებსაც, თუმცა ამ პროცესში, ძალიან ხშირად, ისევ მეტი რესურსების მქონე ქალების მოთხოვნები ჟღერდება. ფემინისტური აქტივიზმისთვის ცენტრალური ჰეტეროსექსუალი, ქართველი, სისგენდერი, ქრისტიანი, როგორც წესი დაოჯახებული ქალის გამოცდილება ხდება. ფოკუსს მიღმა რჩებიან ქვიარ, ტრანსგენდერი, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები, შშმ ქალები, მარტოხელა დედები და ა.შ.

ამ პროცესის პარალელურად უფრო და უფრო ხშირად გვესმის ქვიარ ქალების ხმაც. ისინი ძლიერდებიან და ფემინისტებს შორის აქტიურობის თვალსაზრისით მოწინავე რიგებს იკავებენ. ქვიარ ქალებს ვიყენებთ ქოლგა ტერმინად ყველა იმ ქალის აღსაწერად, რომელიც საკუთარ თავს ლესბოსელად, ბისექსუალად, პანსექსუალად, ასექსუალად, ქვიარად ან არაჰეტეროსექსუალ ქალად განსაზღვრავს. ამჟამად საქართველოში მომუშავე ორგანიზაციებიდან ერთი სათემო ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი" სპეციფიკურად ქვიარ ქალების საჭიროებებზე მუშაობს. აქციებზე ხშირია ქვიარ ქალების აქტიურობა. 2017 წლის 8 მარტის აქციაზე კი ძალიან დიდი ყურადღება მიიპყრო ლესბოსელების გამოსვლებმა, სლოგანებმა და ლესბოსურ-ფემინისტური პოზიციებიც, მართალია, ფრაგმენტულად და სპონტანურად, თუმცა მაინც გაჟღერდა. ამ საკითხს მოგვიანებით კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით.

მიუხედავად ამისა, ამ აქციის და სხვადასხვა ორგანიზაციის აქტივობების გამოკლებით, ქვიარ ქალები საქართველოში ერთერთ ყველაზე უხილავ ჯგუფს წარმოადგენენ. ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: 1. ჰომოფობია, რის გამოც ძალიან ბევრ არაჰეტერონორმატიულ ადამიანს, მათ შორის ქალს, არ აქვს საკუთარი სექსუალობისა და პრობლემების შესახებ ღიად საუბრის საშუალება; და 2. მიზოგინია (ქალთმოძულეობა), რომელიც ქალების გამოცდილებას (მათ შორის ჰეტეროსექსუალების) აუფასურებს და პოლიტიკურ მნიშვნელობას უკარგავს. ეს უფრო დიდი და კომპლექსური საკითხია, რომელიც სპეციფიკურად ეხებათ ქალებს და ქვიარ ქალების გამოცდილებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. ქვიარ ქალების გამოცდილებების აღწერა, მათი საჭიროებების ანალიზი სწორედ ამ ორი ფაქტორის - ჰომოფობიისა და მიზოგინიის - გათვალისწინებით და ურთიერთკავშირის გამოვლენით უნდა გაკეთდეს. ქვიარ ქალების გამოცდილება მარგინალურია, მაგრამ ამავე დროს უკავშირდება ერთი მხრივ, თვითონ ლგბტქი+ აქტივიზმს, და მეორე მხრივ, ფემინისტურ დღის წესრიგს. არანორმატიული გამოხატვა როგორც გენდერული, ისე სექსუალობის თვალსაზრისით, ერწყმის დაბადებისას მინიჭებული სქესის ნიშნით დისკრიმინაციას და ძნელია მათი ერთმანეთისგან განცალკევება. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როცა სუბიექტი რომელიმე სხვა ჩაგრული ჯგუფის წარმომადგენელიცაა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები ქვიარ ქალების საჭიროებების კვლევას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. ქვიარ ქალების სამედიცინო საჭიროებების შეფასება;
2. ქვიარ ქალების სამართლებრივი საჭიროებების შეფასება;
3. ქვიარ ქალების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების შეფასება;
4. ქვიარ ქალების მდგომარეობის შეფასება ფიზიკური და კიბერ უსაფრთხოების თვალსაზრისით;
5. ქვიარ ქალების ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასება;
6. სოციალური, სამედიცინო და სამართლებრივი სერვისების მიღებისას ლგბტ ორგანიზაციებში ქვიარ ქალების საჭიროებების იდენტიფიცირება;
7. სოციალური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სამედიცინო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის ბარიერების შეფასება, როგორც თავად თემის წევრების ქცევის, ასევე სერვისის მიმწოდებლების ქცევის გაანალიზებით.
8. შეფასდეს ქვიარ ქალების წინააღმდეგობის გამოცდილება და პოტენციალი.

1. რატომ ქვიარ ქალები?

კვლევა ემყარება მეორეულ წყაროებს - არსებულ კვლევებს, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებსა და მეორე ტალღის ფემინისტების თეორიულ მიგნებებს, ასევე ინტერვიუებსა და ჩართულ დაკვირვებას. კვლევის ფარგლებში სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა 21 ადამიანთან. მათ შორის 14 თბილისიდანაა, 5 - ქუთაისიდან და 2 ბათუმიდან. რაც შეეხება რესპონდენტების თვითგანსაზღვრას 14 ლესბოსელად, 4 - ბისექსუალად, 3 კი ქვიარად განსაზღვრავს თავს. რესპონდენტებიდან თორმეტი - 20-25 წლის ასაკისაა, ხუთი - 26-35 წლის და ოთხი 35-45 წლის. ყველაზე უმცროსი 20 და უფროსი 42 წლის.

როგორც ვხედავთ, მონაწილეების რაოდენობა ასაკობრივად, თვითგანსაზღვრისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ძალიან არათანაბრადაა გადანაწილებული. ამის მიზეზი წვდომის შეზღუდვაა. თბილისში მცხოვრები 20-25 წლის ქალები უფრო ხშირად დადიან ქვიარ სივრცეებში და სოციალიზდებიან „ფეისბუკის“ ქვიარ ჯგუფებში, მაშინ როცა 26-ს ზემოთ ასაკის ქალები უფრო მეტად სახლში სოციალიზდებიან და უფრო იშვიათად ამხელენ თავის სექსუალურ ორიენტაციას საჯაროდ. მიუხედავად ამისა, შერჩევისას მიზანმიმართულად ვარიდებდით თავს ყველაზე ხილვადი და საზოგადოებაში დამკვიდრებული ქვიარ ქალების გამოკითხვას და მეტი აქცენტი ორგანიზაციებსა და აქტივიზმთან ნაკლებად აფილირებული რესპონდენტების მოძიებაზე გავაკეთეთ. ამ მიდგომას გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი აქვს - ფემინისტური კვლევისთვის ამოსავალ წერტილად პერსპექტივის გათვალისწინება მიგვაჩნია. ყველაზე ჩაგრული ჯგუფები, რომელთაც ნაკლები წვდომა აქვთ სოციალურ და ეკონომიკურ სიკეთეებზე, ხშირად როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე სამოქალაქო აქტივიზმის მიღმა რჩებიან. ფემინისტური მიდგომა გულისხმობს სწორედ ამ პერსპექტივის გაჟღერებას. ამის შესახებ ალკოფი წერს (1991), რომ პრივილეგირებული პოზიციიდან სხვის ნაცვლად და მათ შესახებ საუბარი ხშირად ამ ჯგუფის ჩაგვრას მეტად აძლიერებს (გვ. 7). ფემინისტური კვლევა არა მხოლოდ ქალების და ქალებს შორის სხვადასხვა ნიშნით ჩაგრული ჯგუფების შესახებ, არამედ არსებული სოციალური წესრიგის, ზოგადად ქვეყანაში არსებული პრობლემების, შესახებ უფრო ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდის და ახალ კითხვებს ბადებს უფრო დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოების შექმნისთვის (Harding, 1993).

ვინაიდან კვლევა თვისებრივია და მისი პოპულაციის განსაზღვრა სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია, შერჩევა ძირითადად თოვლის გუნდის პრინციპს ემყარებოდა. შესაბამისად, კვლევის განზოგადება მთელ ქვიარ ქალების ჯგუფზე შეუძლებელია. ამ პროცესში აუცილებელია ვაღიაროთ თვითონ ჯგუფის მრავალფეროვნება და ძალაუფლებრივი პოზიცია, რომლიდანაც თვითონ ეს კვლევა იწერება. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვიარ ქალებისა და ლგბტ ორგანიზაციის პერსპექტივიდან იქმნება, თვითონ ლგბტქი+ ჯგუფს და ქალებს შორის არსებული განსხვავებები და შიდა იერარქიები, ასევე ინერტვიუერებისა და მკვლევრის პოზიციები უპირობო ობიექტურობას არ უზრუნველყოფს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალურად ვეცადეთ, თავად რესპონდენტების მიერ დასახული გამოსავლების გაჟღერება და საკუთარ პოზიციაზე მუდმივი თვითრეფლექსია. შედეგად რამდენიმე მკვეთრად გამოხატულ ტენდენციაზე თამამად შეიძლება საუბარი. ამ უკანასკნელს მონაცემების გაანალიზებისას ჩავუღრმავდებით.

მონაცემთა ანალიზი

თავი 2. ძალადობა

როცა ქვიარ ქალებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს ჯგუფი სისტემური ჩაგვრის მსხვერპლი მინიჭებული სქესისა და ჰომოფობიის გამო იმთავითვე ხდება. ინდივიდუალურად ისინი შეიძლება სხვა დაქვემდებარებულ ჯგუფებსაც მიეკუთვნებოდნენ, მაგ. რელიგიურ უმცირესობას ან შშმ ადამიანებს. შესაბამისად, ქვიარ ქალების გამოცდილებები ხშირად ე.წ. ინტერსექციური დისკრიმინაციისა და ჩაგვრის ტერმინებში განიხილება სამართლებრივ და სოციალურ დონეზე. თუმცა, არ არსებობს იდეალური სამართლებრივი მოდელი, რომელიც ქვიარ ქალების უფლებებისთვის ბრძოლის ერთიან სტანდარტს მოგვცემს. უფრო მეტიც, ძალიან ძნელია გამოვაცალკევოთ ერთი ტიპის ჩაგვრა მეორისგან და გამოკვეთილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ვიპოვოთ დაქვემდებარებული მდგომარეობის ასახსნელად. ქვიარ ქალების საჭიროებებისა და მათი ბრძოლის კონცეპტუალიზება ხშირად თავად რესპონდენტებსაც კი უჭირთ, ვინაიდან ქალების გამოცდილებები ისედაც მარგინალურია და თავის საარტიკულაციო ენას მუდმივად ეძებს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, იმ ისტორიული და მატერიალური კონტექსტის აღწერა, რომელშიც ჩვენი რესპონდენტები ცხოვრობენ, ქმნიან და იქმნებიან შიდა და გარე ფაქტორების გავლენით. სამართლებრივი გარემო ერთერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი კომპონენტია ამ ანალიზისთვის.

2.1. ძალადობა ოჯახში

2006 წლიდან არსებობს კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, თუმცა ამ კანონის საფუძველზე საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა ქვიარ ქალებისთვის რიგი მიზეზებით იზღუდება. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთაგან უმრავლესობა საუბრობს ოჯახში არსებულ ვერბალური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გამოცდილებაზე. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური განწყობების გამო საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნება როგორც საჯაროდ, ისე ოჯახსა და სამსახურში გართულებულია. 9 რესპონდენტს ოჯახის ერთ წევრთან მაინც აქვს გამჟღავნებული თავისი ორიენტაცია. როგორც წესი, ეს დედა, ბებია, და ან სხვა ნათესავი ქალია, რომელთაგანაც ისედაც ნაკლებ საფრთხეს გრძნობენ, თუმცა, ოჯახის მხრიდან ზოგადად მხარდაჭერის ნაკლებობაზე საუბრობენ. ერთერთი მათგანი გვეუბნება: "ნაცნობებთან, ოჯახის წევრებთან თავს ავარიდებდი ლაპარაკს ორიენტაციაზე. საშინელი ამბავი მოხდებოდა, რომ იცოდნენ. პასიური აგრესია, გარიყულობა იქნებოდა შედეგი". ზოგიერთი თვლის, რომ "საჭირო არაა იცოდნენ", ვინაიდან არ იციან რა რეაქცია შეიძლება მოყვეს და ამხელა რისკზე ვერ მიდიან.

ამის პარალელურად, როგორც უკვე აღინიშნა, 15 რესპონდენტს აქვს ფიზიკური ძალადობის გამოცდილება. როგორც წესი მამის ან ძმის მხრიდან. გარდა იმისა, რომ ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია და ქალებზე ძალადობის გამოხატულ ტენდენციაზე მიუთითებს, **ძალადობის ზოგი ფორმა იმდენად საგანგაშოა ცდება ცემის კატეგორიას და წამებადაც**

შეიძლება შეირაცხოს: ბოძზე მიბმა, მუხლებზე დაყენება, გადაადგილების შეზღუდვა. რესპონდენტები ცდილობენ ლოგიკური ახსნა მოუძებნონ ამ ძალადობას და ნაკლებად მიიჩნევენ მას გენდერულ ძალადობად. მოძალადის ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, აფექტი, დეპრესია, ეკონომიკური სიდუხჭირე ხშირად სახელდება ძალადობის მიზეზებად. ჰომოფობიურ ნიადაგზე რამდენიმე შემთხვევაა, თუმცა ძალადობის უმრავლესობა მათი მხრიდან "დაუმორჩილებლობას" და ქალის ტრადიციული როლის შეუსრულებლობას მიემართება. მაგალითად, ოჯახის დაუკითხავად სადმე წასვლას.

საგულისხმოა, რომ ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, გვხვდება ქალების კონტროლის უფრო შეფარული ფორმები. იმ 9 ადამიანს შორის, რომელსაც ოჯახში ქამინგ აუთი აქვს გაკეთებული, 7 სხვადასხვა "გამოსასწორებელი" ძალადობის მსხვერპლი ყოფილა. მაგალითად, მოძღვართან, ექიმთან მიყვანა, შინაპატიმრობა. ზოგადად, სახლში დაბრუნების და მუშაობის თუ სწავლის პროცესის კონტროლი. მაგალითად, როცა ქალები სხვა ქალაქში, ან ქვეყანაში მიდიოდნენ სამუშაოდ/სასწავლებლად და გამოხატავდნენ ამის სურვილს ან როცა ქალისთვის არაკონვენციურ სამუშაოზე დასაქმება სურდათ, ოჯახის მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობა ხშირად ფიქსირდება. ეს წინააღმდეგობა პირდაპირ ძალადობასა და შეზღუდვაში იშვიათად ვლინდება, თუმცა, რესპონდენტები მას ფინანსური, ემოციური და ფიზიკური კეთილდღეობისა და საჯარო სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის დაბრკოლებად ასახელებენ. ასევე, იმ აქტივისტების მიმართ, ვინც ორგანიზაციებში მუშაობენ, ხშირად განიცდიან ზეწოლას უფრო "მისაღებ" სამსახურებში დასაქმდნენ.

რესპონდენტები საუბრობენ პარტნიორების მხრიდან ძალადობაზეც, რომლის იდენტიფიცირებაც უჭირთ. ძალადობა ადევნებისა და იძულებითი ქამინგ-აუთით შანტაჟის ფორმას ატარებს, ფიზიკურ ძალადობაზე ნაკლებად საუბრობენ. ამ თემაზე უფრო სიღრმისეული „კვლევა ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა" ჩაატარა 2018 წელს, რომელიც ლგბტი თემში პარტნიორებს (როგორც ერთი და იმავე, ისე სხვადასხვა სქესის) შორის ძალადობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს. პოლიციისადმი მიმართვიანობა კი დაბალია, და შესაძლოა, უფრო დაბალიც ვიდრე სხვა ტიპის ძალადობასთან შედარებით. ისედაც უკვე ჩაგრულ ჯგუფში პარტნიორებს ზოგადად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოების მხრიდან მარგინალიზაციისა და იზოლაციის ფონზე ქვიარ-ქალებისთვის ინტიმური პარტნიორები და მეგობრები ხშირად ერთადერთი სივრცეა, სადაც თავის გამოხატვა და მხარდაჭერის მიღება შეიძლება. შესაბამისად, პირად ურთიერთობებში დაპირისპირებები, კონფლიქტები და ძალადობა ოჯახში ძალადობის მსგავსად ნაკლებ განიხილება სამართლებრივ კონტექსტში. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს არ აღიარებს ოჯახად.

არცერთ რესპონდენტს ოჯახში ფიზიკური ძალადობის დროს არ მიუმართავს პოლიციისთვის. ამის მიზეზები მრავალფეროვანია, დაწყებული ძალადობის დროს მათი მცირე ასაკით, დასრულებული პოლიციის მიმართ უნდობლობით. ამ უნდობლობას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს პოლიციელების სექსისტური და ჰომოფობიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ზრდასრული ქალებისთვის ინფორმაციაზე წვდომის შემთხვევაშიც კი ძალიან მაღალია იძულებითი ქამინგ-აუთის საფრთხე, რის გამოც თავს

იკავებენ სამართლებრივი ჩარევისგან. ფსიქოლოგიურ დონეზე, ვინაიდან ქალების შემთხვევაში მოძალადე როგორც წესი ოჯახის წევრია და არა უცნობი, ემოციურად რთულია ახლობელი ადამიანების წინააღმდეგ წასვლა. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახის სხვა წევრების მხარდაჭერა ამ დროს ფაქტობრივად არ აქვთ.

ძალადობასთან გამკლავების გზა ძირითადად ინდივიდუალურია და მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური სარჩული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 5 რესპონდენტი ცხოვრობს ოჯახის წევრების გარეშე, საკუთარ ოჯახში მცხოვრები ქალებისთვისაც ეკონომიკური დამოუკიდებლობა ძალადობისგან თავის დაღწევის მნიშვნელოვანი საფუძველია. და პირიქით, ისინი, ვინც ფინანსურად დამოკიდებული არიან მშობლებზე ან ოჯახის სხვა წევრზე, საუბრობენ ქამინგ-აუთის შემთხვევაში მათი სახლიდან გაგდების საშიშროებაზე. ვინაიდან უმრავლესობა დაბალანაზღაურებად სამსახურშია დასაქმებული, ცალკე ცხოვრება და საკუთარი თავის ფინანსურად უზრუნველყოფა არსებული ეკონომიკური რესურსებით შეუძლებელია. ეკონომიკურ საკითხს მე-3 თავში განვიხილავთ, მანამდე კი ძალადობის ყველაზე უფრო ტაბუირებულ ფორმას სექსუალურ ძალადობას შევეხებით.

2.2. სექსუალური ძალადობა

ექვსი რესპონდენტი ყოფილა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, 3 მათგანი საუბრობს გაუპატიურების მცდელობაზე. ორი შემთხვევის გარდა, მცდელობებიც და ძალადობის ფაქტები, ბავშვობისა და მოზარდობის (არასრულწლოვან) ასაკში მოხდა. **ძალადობისთვის სახელის დარქმევა ხშირად უჭირთ და არ იციან რა კვალიფიცირდება სექსუალურ ძალადობად და რა სექსუალურ შევიწროებად. უმრავლეს შემთხვევაში მოძალადეები ახლობლები, მეზობლები და ნათესავები არიან, რაც კიდევ უფრო ართულებს ქალებისთვის ამ თემაზე საუბარს.**

სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებელი გასაკვირი არ არის. ის არ უნდა მივაწეროთ შემთხვევითობას და დავინახოთ როგორც კაცებისთვის ქალის სექსუალობის კონტროლით ძალაუფლების შენარჩუნების და მოპოვების საშუალება (Berkovitch, 2012). უმრავლეს შემთხვევაში რესპონდენტი ქალების უმრავლესობა ცდილობს თვითონ გაუმკლავდეს ძალადობას და მის შემდგომ ტრავმას, არავის ეუბნებოდნენ და არც პოლიციას მიმართავდნენ. ზოგი ამბობს, რომ ოჯახის წევრებს გაუზიარა ბავშვობაში, მაგრამ ვერანაირი თანადგომა ვერ მიიღო. ერთერთი რესპონდენტი ყვება, რომ მოზარდობის ასაკში დედის პარტნიორის მხრიდან სისტემატური ძალადობის მსხვერპლი იყო. როცა ეს ბებიას და დედას გაუზიარა, აქეთ დაადანაშაულეს. მეორე რესპონდენტმა ოჯახს რომ უამბო მისი გაუპატიურების მცდელობის შესახებ, მამამ 2 კვირა სახლში გამოკეტა. ოჯახის გარდა მეგობრების მხარდაჭერაც ნაკლებია. გაუპატიურების შემთხვევაში ხშირად მეგობრებიც ისევ ქალებს ადანაშაულებენ ალკოჰოლის მიღების, ნაივურობის და ა.შ. გამო.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა პოლიციასთან ურთიერთობისას. გაუპატიურების მცდელობის შემდეგ პოლიციას მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა მიმართა, რასაც პოლიციის მხრიდან მის მიმართ სრულიად აგდებული დამოკიდებულება მოყვა - "აქეთ დამადანაშაულეს რატომ დაიჯერე და აყევი სახლშიო. 6-მდე ვიჯექი, სიცხემ ამიწია და სტრესისგან ბოლოს გავითიშე." როგორც მონაყოლიდან ირკვევა, პოლიცია გაუპატიურებას გადარჩენილს როგორც დამნაშავეს ისე ექცეოდა და ისეთ სტრესში ჩააგდო, რომ სიცხემ აუწია და იძულებული გახადა სამართლებრივად ამ საქმის მიყოლაზე უარი ეთქვა. მეორეული ვიქტიმიზაცია პოლიციასთან ურთიერთობაში იშვიათი არაა და სხვადასხვა ქალის გამოცდილებების მოსმენისას ხშირად ჟღერდება. შესაბამისად, პოლიციისადმი მიმართვა ჰომოფობიური და მიზოგინიური დამოკიდებულებების გამო გაუპატიურების შემთხვევაშიც კი არ ესახებათ გამოსავლად. ამას თან ერთვის ისიც, რომ მოძალადეების უმრავლესობა მათთვის უცნობი ადამიანი არაა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის იმედი არ აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ფიზიკური ძალადობის გამოცდილებას ქალები იშვიათად ასახელებენ, სექსუალური შევიწროება ტრანსპორტსა და საჯარო სივრცეში ძალიან გავრცელებული ფორმაა. ის მერყეობს არასასურველი ფიზიკური შეხებიდან უხამს კომენტარებამდე. სექსუალური შევიწროების ამოცნობა შედარებით უადვილდებათ და მასში ხშირად გამოხატულ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ შინაარსსაც ასახელებენ და როგორც წესი ქალ პარტნიორთან ყოფნის დროს ან მარტო როცა არიან, მაშინ ხდება. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ადევნების დროს რესპონდენტმა პოლიციას მიმართა, პოლიციის მხრიდან ინდეფერენტულობით დასრულდა.

შეიძლება ითქვას, რომ სექსუალური შევიწროების კანონი ჯერჯერობით პრაქტიკაში არ მუშაობს, რაც ძირითადად პოლიციის მიმართ უნდობლობითაა გამოწვეული. თუმცა, შევიწროება სახელდებულია და მოძალადეებთან ფიზიკური და ვერბალური კონფრონტაციების ძალიან ბევრი მაგალითი გაჟღერდა. ბევრად უფრო დიდი პრობლემაა სქესობრივი ძალადობა, განსაკუთრებით გოგოებსა და მოზარდებზე. საჭიროა არასრულწლოვნებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების შემდგომი შეგროვება, დოკუმენტირება და პედოფილიასთან გამკლავების ქმედითი სტრატეგიის დასახვა, რომელიც ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე გათვლილ აქტივობებთან ერთად, მოიცავს ამ შემთხვევების ამოცნობისა და მათზე ადეკვატურად რეაგირების გეგმას.

თავი 3. ეკონომიკური მდგომარეობა და განათლება

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და დაუსაქმებლობა პირდაპირ აისახება ქვიარ ქალების ცხოვრებაზე. 17 რესპონდენტის შემოსავლის წყარო სამსახურია, დანარჩენი ოჯახის წევრებზე, როგორც წესი მამაზე, არიან ფინანსურად დამოკიდებული. დასაქმების ტენდენციები მრავალფეროვანია, დაწყებული სპორტით, დასრულებული სკოლით ან საკუთარი მცირე ბიზნესით, თუმცა, მაღალ თანამდებობაზე

არცერთი იმყოფება. მხოლოდ ორი არის მენეჯერულ პოზიციაზე ისიც არასამთავრობო ორგანიზაციაში. ეს შემოსავალზეც აისახება. 5-ს 300 ₾-ზე ნაკლები თვიური შემოსავალი აქვს. 3-ს 300-500 ₾. 3-ს 500-700 ₾. დანარჩენ 10-ს კი 1000 ₾-ზე მეტი. რაც ნიშნავს, რომ რეპონდენტების მეხუთედი სიღატაკის ზღვარზეა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით მაღალი შემოსავლის პირობებშიც კი რესპონდენტების ძალიან დიდ ნაწილს აქვს განვადება, სესხი, ქირა. ვინაიდან საქართველოში ქალები იშვიათად იღებენ მემკვიდრეობას, უძრავი ქონება კი უმეტესწილად კაცის საკუთრებად მოიაზრება, ქალების დასაქმების და დაწინაურების შეზღუდვა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებს მათ. უმრავლესობის გადარჩენა დამოკიდებულია კოლექტიურ ცხოვრებაზე. ოჯახის წევრის, პარტნიორის, ნათესავის დახმარებაზე. დასაქმებულ რესპონდენტებს თვითონაც უწევთ პერიოდულად ოჯახის წევრების დახმარება. შედეგად, **ოჯახი ხშირად გადარჩენის ფუნქციას ატარებს და მისგან დისტანცირება, პოლიციის და სამართლებრივი გზით ძალადობასთან გამკლავება უმრავლესობისთვის გამოსავალი არ არის.**

სექსიზმი დასაქმებისა და დაწინაურების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. სკოლა, ოჯახი ქალების უნარების და თვითშეფასების დაკნინების მთავარ ასპარეზად სახელდება. სხვადასხვა პროფესიის ქალები ყვებიან როგორ ეჭვქვეშ აყენებენ მათ შესაძლებლობებს და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარს მათი მშობლები, მასწავლებლები, ლექტორები. არგუმენტები ესენციალისტურ-სექსისტურია. ერთერთი რესპონდენტი ამბობს: “ოჯახში რომ ვთქვი, რომ ფსიქოლოგი მინდა ვიყო, ვერ გაქაჩავ და ძალიან ემოციური ხარო, ბიჭ ბიძაშვილზე მსგავსი არ ყოფილა. სკოლაში და უნივერსიტეტში ბიჭებს ანიჭებენ უპირატესობას.” უნივერსიტეტში, სკოლასა და სამსახურში ქალებისთვის მიწერილი ვალდებულებების დაკისრებისა და მათი უნარების დაკნინების შესახებ სხვა რესპონდენტებიც საუბრობდნენ,

ამ დამოკიდებულების გენდერული საფუძვლები დიდწილად გააზრებული აქვთ და ხშირად აქტიურადაც უპირისპირდებიან საპირისპიროს დამტკიცებით ან ღია კონფლიქტში შესვლით. “უთქვამთ ხოლმე, რომ ეს თუ ის უნდა ქნა, ან არ უნდა ქნა იმიტომ, რომ გოგო ხარო. პროფესიებთან მიმართებით მაგალითად. გოგო ხარ და პედაგოგი უნდა გახდეო. ისეთი ნორმალიზებულია სტერეოტიპული აზროვნება, რომ ვეღარც ამჩნევ გენდერული ნიშნით რომ მოგიწოდებენ რაღაცის გაკეთებისკენ ან არ გაკეთებისკენ.”

ის რესპონდენტები, რომლებიც სკოლის ასაკში დაქამინგაუთდნენ ან გენდერულად არაკონფორმული იყვნენ, საუბრობენ ღიად ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დამოკიდებულებებზე თანატოლების და სკოლის პერსონალის მხრიდან. 9 მათგანის მიმართ ყოფილა ნეგატიური დამოკიდებულებები სკოლაში. აქედან 2 ჰომოფობიურ ნიადაგზე გააგდეს სკოლიდან. “სკოლიდან გამოგდებული ვარ ორიენტაციის გამო. კერძო სკოლაში გადავედი. იქაც ვენდე ერთ ბიჭს და მოვუყევი. იჭორავა, მაქედანაც მაგდებდნენ, მარა მერე გოგოები (კლასელები) მივიდნენ დირექტორთან და უთხრეს, რომ პრობლემა არ ქონდათ ჩემთან და დამტოვეს.”

“16 წლის ასაკში მე და ჩემი მეგობარი სახლებიდან წამოვედით, იმიტომ, რომ აღარ შეგვეძლო ოჯახებში ცხოვრება. ამბობდნენ, რომ ლესბოსელები ვიყავით. სინამდვილეში კი მოგვწონდა ერთმანეთი, მარა მერე ისეთი ამბავი მოყვა ამას, რომ აღარაფრის შანსი აღარ იყო. სკოლა, დირექტორი, სოფლის მღვდელი სატანისტებს გვეძახდა. ამბობდნენ, რომ სატანისტურ რიტუალებს ვატარებდით”, - ყვება მეორე რესპონდენტიც, რომელსაც სკოლიდან აგდებდნენ, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევით აღარ გააგდეს და შეძლო სკოლის დასრულება. ამ შემთხვევებს შორის 10 წელზე მეტი შუალედია, და ერთი შემთხვევა თბილისში მოხდა, მეორე კი - სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ანტიდისკრიმინაციული კანონის შემოღების შემდეგ მოხდა, მან მაინც ვერ მიიღო სამართლებრივი დახმარება. ამის გარდა, სკოლაში ქამინგ-აუთის სოციალური შედეგები იმდენად ძვირი შეიძლება აღმოჩნდეს და იმხელა გავლენა იქონიოს განათლების მიღების შემდგომ შესაძლებლობებზე, რომ უმრავლესობა სკოლაში სიარულს და საკუთარი სექსუალობის შესახებ საუბარს თავს არიდებს. მაგალითად ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება, რომ სკოლაში ბულინგს ვერ გაუმკლავდა, "არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, არ მყავდა მეგობარი, რომელიც რჩევას მომცემდა და ვერც ვლაპარაკობდი საჯაროდ, ხმას ვერ ამომაღებინებდნენ", - არ მიუმართავს ორგანიზაციისთვის მაშინ, რადგან არ ჰქონდა ინფორმაცია და ცდილობდა ნათესავების დახმარებით გამკლავებოდა პრობლემებს.

გარდა ჰომოფობიური და სექსისტური გამოცდილებისა, 1 რესპონდენტს ეთნიკური ნიშნით ავიწროებდნენ და 1-ის მიმართ ძალიან მკვეთრად გამოხატული სექსუალური შევიწროება იყო კლასელების მხრიდან. რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ სკოლაში საკუთარი სექსუალობის შესახებ ან თვითონაც არ იცოდნენ ან ამის შესახებ დუმდნენ. შესაბამისად, ჰომოფობიური ნიშნით ფიზიკური და ვერბალური ძალადობა ნაკლებად მიემართებოდათ. ვერბალური აგრესია და ნეგატიური განწყობები ძირითადად გენდერულად არაკონფორმული რესპონდენტების გამოცდილება იყო.

რაც შეეხება სკოლის შემდეგ ცხოვრებას, 16-ს აქვს უმაღლესი განათლება, დანარჩენებს - პროფესიული. განათლების სფეროები ძირითადად ჰუმანიტარული მეცნიერებებია. თითქმის ყველას უნდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ უმრავლესობას ხელს ფინანსური მდგომარეობა უშლის. ამასთან, უმრავლესობა უნივერსიტეტში მათ მიმართ სექსისტურ დამოკიდებულებაზე საუბრობს. ის ქალები, რომელიც კაცებით დომინირებულ სფეროებში სწავლობენ და მუშაობენ, მაგ. სპორტში, კომპიუტერულ მეცნიერებებში, კინოხელოვნებაში, საუბრობენ განსაკუთრებით ნეგატიურ დამოკიდებულებაზე ლექტორების და კურსელების მხრიდან. უნივერსიტეტში ამის ძირითადი მიზეზი სექსისტურია, თუმცა ჰომოფობიური დამოკიდებულებებიც არ არის იშვიათი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ის ადგილებია, სადაც რესპონდენტების უმრავლესობა მეგობრების პოვნასა და უსაფრთხო სივრცეების შექმნას ახერხებს. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (2016) მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ სტუდენტებში ჰომოფობიური განწყობები შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ჯგუფებში.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, თვითონ უნივერსიტეტები და მათი პერსონალი ნაკლებად მეგობრულია როგორც ქალების, ისე ჰომოსექსუალების მიმართ. **უნივერსიტეტები**

გარდა სწავლისა, აქტივიზმისა და მეგობრების შეძენის სივრცეც არის, სადაც სკოლისგან განსხვავებით, უკვე ვხედავთ საზოგადოებასთან ქალების დაპირისპირების პირველ ნაბიჯებს. მიუხედავად ნეგატიური დამოკიდებულებების, გარიყვის, მათ შესახებ არასწორი ინფორმაციის, ზოგჯერ იძულებითი ქამინგაუთისა და პირადი ინფორმაციის გავრცელებისა, არცერთ ქალს არ მიუტოვებია სწავლა და განაგრძობდნენ მათკენ მიმართულ სექსიზმსა და ჰომოფობიასთან გამკლავებას. განათლების მიღების და გაგრძელების მთავარ დაბრკოლებად უსახსრობა სახელდება. ასევე ბევრ მათგანს უწევს ან სწავლის დროს უწევდა მუშაობა, ხშირად მომსახურების სფეროში და ძალიან ხანგრძლივი განაკვეთით და დაბალი ანაზღაურებით, რაც უნარების განვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს არაპირდაპირაც უზღუდავთ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბევრ მათგანს იმედი აქვს გაცრუებული ფორმალურ განათლებაზე და საკუთარი პროფესიით დასაქმებისა და განვითარების პერსპექტივას ნაკლებად ხედავენ. სასურველ უნარებად და ტრენინგებად დასახელდა: ფოტოგრაფია და ხელოვნება, ფემინიზმი, კიბერ უსაფრთხოება, თერაპიული ხასიათის შეხვედრები. გაუღერდა ტექნიკური უნარებიც, მაგ. პროგრამირება, მონტაჟი, და ეკონომიკური საკითხების შესახებ ცოდნის მიღება. დასაქმების ტენდენციებშიც ვლინდება ჰომოფობიისა და მიზოგინიის ტანდემი, რომლის გამოცალკევება თვითონ რესპონდენტებსაც უჭირთ. ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემა სექსუალური შევიწროებაა. თუმცა, ამ უკანასკნელის ამოცნობა შედარებით რთულია. გარდა ამისა, დაწინაურებასა და დასაქმებაზე უარი, სამსახურში თანამშრომლების მხრიდან ჰომოფობიური დამოკიდებულებები დასახელდა მონაწილეთა 20%-ის მიერ. ამ შემთხვევებშიც რესპონდენტები ქამინგ-აუთის შიშით ვერ მიმართავენ სამართლებრივ უწყებებს. მეორე დაბრკოლება კი დისკრიმინაციის მტკიცების სირთულეა. ვინაიდან დამსაქმებელს არანაირი ვალდებულება არ ენიჭება ახსნას თავისი ქმედებები დასაქმებულთან მიმართებაში, უმრავლესობას არც თავისი შრომითი უფლებების შესახებ აქვს ცოდნა და არც ამ უფლებების აღიარებისა და დაცვის მოლოდინი.

ამრიგად, პატრიარქალური შეხედულებები, ცუდი შრომითი პირობები, განათლების და დასაქმების მწირი შესაძლებლობები ნოყიერ ნიადაგს ქმნის ჰომოფობიური დისკრიმინაციისთვის განათლებისა და დასაქმების კუთხით, რაც ქვიარ ქალებს აღარიბებს და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, მათ შორის მოძალადე ოჯახის წევრებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობებს უზღუდავს.

თავი 4. ჯანდაცვა

ეკონომიკური პრობლემები პირდაპირ კავშირშია ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან. მონაწილეთა ნახევარს მაინც დასჭირვებია ექიმის დახმარება, მაგრამ ვერ მიუღია უსახსრობის გამო. უმრავლესობას ან თვითონ ან სხვის შესახებ გაუგია მცდარად დასმული დიაგნოზის შესახებ. 5 დისკრიმინაციის შიშის გამო არ მისულა ექიმთან. თუმცა, დისკრიმინაცია მხოლოდ ჰომოფობიური ხასიათის არაა, ფსიქიატრთან მისვლაც გართულებულია ფსიქოლოგიურ პრობლემებთან ასოცირებული ნეგატიური წარმოდგენების

გამო. 8-ს დაუმალავს თავისი სექსუალური გამოცდილების შესახებ (ძირითადად გინეკოლოგისთვის). უმრავლეს შემთხვევაში ყვებიან უხერხულ კითხვებზე ექიმების მხრიდან. განსაკუთრებით პრობლემურია სექსუალურ გამოცდილებაზე კითხვები. აქ არა მხოლოდ ლესბოსური გამოცდილება, არამედ ზოგადად ნებისმიერი სახის ქორწინებამდე სექსი, ტაბუირებულია. ხშირია გინეკოლოგების მხრიდან დამუნათება, შერცხვენა, უხამსი კომენტარები. სიტუაციას ისიც ამწვავებს, რომ ხშირ შემთხვევაში როგორც მოზარდობაში, ისე ზრდასრულ ასაკში, ექიმთან დედა ან სხვა ქალი ნათესავი ახლავთ ხოლმე. პირადი სივრცის შეზღუდვა, ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ექიმების დამოკიდებულება სამედიცინო მომსახურების მიღებას კიდევ უფრო ტრავმატულს ხდის რესპონდენტებისთვის. ცოდნის ქონის და საჭიროების აღიარების შემთხვევაშიც კი ხშირად თავს არიდებენ ექიმთან მისვლას.

საყოველთაო ჯანდაცვა არ ფარავს რიგ გამოკვლევებს და წამლებს. 7-ს აქვს ქრონიკული დაავადებები, რომლის მკურნალობა საერთოდ არ იფარება საყოველთაო ჯანდაცვით. განსაკუთრებით პრობლემურია რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა, რომლის შესახებ ცოდნაც მწირია და არაკომპეტენტური და არამეგობრული ექიმების გამო, ბევრი მათგანი საერთოდ თავს არიდებს.

აივ-ის, ბე და ცე ჰეპატიტის შესახებ სმენია ყველას და უმრავლესობა შემოწმებულა კიდეც, თუმცა სისტემატურად არავინ ემოწმება და არც თვლიან საჭიროდ. გინეკოლოგიურ გამოკვლევებზე მხოლოდ კონკრეტული საგრძნობი პრობლემის შემთხვევაში მიდიან. უმრავლესობა ამბობს, რომ უფასო რომ იყოს, უფრო ხშირად ივლიდნენ, თუმცა ზოგადად პროფილაქტიკის საჭიროება ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული. არც უსაფრთხო სექსისა და სქესობრივი უფლებების შესახებ აქვთ ცოდნა. ბევრ მათგანს ჰგონია, რომ ლესბოსური სექსით დაავადებები არ გადადის და დაცული მხოლოდ პენეტრაცია უნდა იყოს. 7-ს ჩაუტარებია საშვილოსნოს ყელის და ძუძუს კიბოს გამოკვლევები. პაპილომა ვირუსის შესახებ სმენია ყველას, მაგრამ ნაკლებად ემოწმებიან. 30 წელს ზემოთ რესპონდენტები ამბობენ, რომ უფრო ხშირად შეემოწმებოდნენ უფასო რომ იყოს.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები გარკვეულწილად სპეციფიკურია ქვიარ ქალებისთვის. ზოგადად, ექიმების ჰომოფობიური განწყობებიდან გამომდინარე მათთვის უფრო ძნელია მეგობრული სერვისების მიღება. მწირია ინფორმაცია ლესბოსური სექსის შესახებაც. ჰომოფობიური კანონმდებლობა, რომელიც ერთი და იმავე სქესის პარტნიორობას არ აღიარებს და ქორწინებას ექსკლუზიურად ქალისა და მამაკაცის ერთობად განსაზღვრავს, შვილის ყოლის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ამცირებს არაჰეტერონორმატიული ქალებისთვის. შვილი ყავს 2 რესპონდენტს, 8-ს უნდა რომ ჰყავდეს. ისინი, ვისაც არ უნდა, ძირითადად ასახელებენ პასუხისმგებლობას, ხოლო ვისაც უნდა მათთვის ხელისშემშლელი ფინანსები და ჰომოფობიური კანონმდებლობაა, რომელიც შვილის აყვანის, ყოლის უფლებას მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილს ანიჭებს.

აღსანიშნავია, რომ შვილის ყოლასთან დაკავშირებით შეხედულებები ძალიან მრავალფეროვანია. 2016 წელს ჩატარებული "ლესბოსელი ქალების რეპროდუქციული განწყობების კვლევა" აჩვენებს, რომ კვლევაში "მონაწილეთა უმრავლესობას სურს, რომ

შვილი ჰყავდეს და ამ სურვილს პირადი ან "ბუნებრივი" მოტივაციით ხსნის, კვლევაში ვკითხულობთ: "შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მონაწილეები რეპროდუქციული ნორმატივების მიმართ საკმარისად კრიტიკული არ არიან, მათი მხრიდან ნორმატივის მიმართ რეზისტენცია არ არსებობს ან სუსტად გამოხატულია" (ქაჯაია, ბერაია, ტაბიძე, 2016).

წინამდებარე კვლევა, მართალია, ასე სიღრმისეულად არ ეხებოდა რეპროდუქციულ განწყობებს, ნაწილობრივ განსხვავებულ ტენდენციას გვაჩვენებს. თუ 2016 წლის კვლევაში ქორწინება და მონოგამიური "ნორმალური" ოჯახის ყოლა ერთერთ მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენდა, ამჯერად რესპონდენტები ერთი და იმავე სქესის ქორწინებასა და შვილის ყოლის უფლებას ეთანხმებიან, თუმცა, უფრო კრიტიკულად უყურებენ ქორწინების ინსტიტუტს. ნახევარი ისურვებდა ამ უფლებით სარგებლობას. რომანტიკულ ურთიერთობებს ყველანი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა ნახევარზე მეტს ურთიერთობები ქორწინების მიღმა წარმოუდგენიათ. შვილის ყოლაც დიდ პასუხისმგებლობად და ფინანსურ გამოწვევად ესახებათ და მზაობაც ნაკლებად აქვთ.

გარდა ფიზიკური ჯანმრთელობისა, ძალიან მძიმე მდგომარეობაა ფსიქიკური ჯანდაცვის კუთხითაც. 18 რესპონდენტს უფიქრია თავის მოკვლაზე. 8-ს კი უცდია. სუიციდური აზრების ძირითადი მიზეზებია პარტნიორთან ურთიერთობა, ოჯახში პრობლემები და ძალადობა. თვითმკვლელობაზე ფიქრის ამხელა მაჩვენებელი სავალალოა და ჯგუფის მძიმე ფსიქიკურ წნეხზე მიუთითებს. უმრავლესობას ჰქონია ძალადობის გამოცდილება, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად აკავშირებენ სუიციდის აზრებსა და მცდელობასთან.

რესპონდენტებში დეპრესიული განწყობაც ძალიან მაღალია. უბედურად თავის გრძნობის ყველაზე ხშირი მიზეზებია 1. პრობლემები რომანტიკულ ურთიერთობებში და 2. ფინანსური პრობლემები. თუმცა, თვითშეფასება და საზოგადოების დამოკიდებულებაც გამჭოლ ხაზად გასდევს უმწეობის, უბედურებისა და სასოწარკვეთის განცდებს. "უბედურად მხდის ჩემი ორიენტაცია და ის რომ არ შემიძლია ამის ხმამაღლა თქმა, რაც იწვევს ჩემს ოჯახთან კონფლიქტებს, მათ ეჭვებს. მე კი სულ ვიტყუები, ასევე საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ ვთვლი თავს და ვიკეტები ჩემს თავში", - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. რესპონდენტების ნახევარს საკუთარი თავი მოსწონს და მისაღებია მისთვის. დანარჩენები არასდროს, იშვიათად ან ზოგჯერ გრძნობენ ასე თავს. გარეგნობის შესახებ სტანდარტები და კარიერული წარმატება ცალ-ცალკე განიხილება საკუთარი თავზე საუბრისას, რაც საკუთარი თავის დანაწევრებულ აღქმაზე მიუთითებს - უნარები და გონებრივი შესაძლებლობები გამიჯნულია გარეგნობისგან და სხვადასხვა დროს განსხვავებულად აფასებენ. ნეგატიური თვითშეფასების მიზეზად ინტერნალიზებულ ჰომოფობიაზე უფრო მკვეთრად სექსიზმი იკითხება, თუმცა პირველი შემდგომ უფრო ჩაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

ფსიქიკურ პრობლემებთან გასამკლავებლად იშვიათად იღებენ ექიმის გამოწერილ წამლებს. რაც ნიშნავს, რომ დეპრესიისა და სტრესის უმრავლეს ნაწილს მედიკამენტების გარეშე უმკლავდებიან. ეს შეიძლება ფსიქიატრთან და ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ სტიგმას მივაწეროთ. თუმცა, უმრავლესობა მოიხმარს მსუბუქ დამამშვიდებლებს, რომელიც ურეცეპტოდ გაიცემა. იშვიათია თრობის მიზნით ნარკოტიკული და ფარმაცევტული საშუალებების მოხმარება, თუმცა უმრავლესობას სხვადასხვა საშუალება

გაუსინჯავს. ალკოჰოლისა და მარიხუანის მოხმარებაც იშვიათია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში მცხოვრები ქვიარ ქალების ნაწილი ამბობს, რომ ადრე ხშირად მოიხმარდა. ეს შესაძლოა მოზარდებში ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების ტენდენციაზე მიუთითებდეს და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

გარდა ამისა, ფინანსური პრობლემები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უბედურების განცდაში. "საკუთარი შვილების დახმარების სურვილი, რისთვისაც ხშირად არ მყოფნის ფინანსური რესურსი" ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი უმწეოდ გრძნობის მიზეზებზე. "ზოგადი გადაღლილობა, შრომა, რომელიც არ მიფასდება და ვიღებ მინიმალურ ხელფასს და არც მაქვს შესაძლებლობა, რომ სხვა სამსახურიც ვიპოვო, რადგან ბოლომდე უნდა ვიყო ჩართული ფიზიკურ მომზადებაში, უსახსრობის გამო კი ამ ფიზიკურ მომზადებასთან გამკლავებაც მიჭირს. ის, რომ არავითარი იმედი და განვითარება არ მაქვს სპორტული თვალსაზრისით ამ ქვეყანაში," - ამბობს მეორე რესპონდენტი სასოწარკვეთის მიზეზებზე.

ამრიგად, ჯანდაცვის კუთხით, გამოიკვეთა არცოდნისა და პრევენციული ჩვევების არქონის პრობლემა და ეკონომიკური პრობლემები, რომელიც ქალებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში ხელს უშლის. რაც შეეხება სამედიცინო პერსონალსა და მომსახურების ხარისხს, უმრავლეს შემთხვევაში სექსიზმი და არაპროფესიული დამოკიდებულება უბიძგებთ რესპონდენტებს საყოველთაო ჯანდაცვის მიღმა ეძებონ დახმარება, ვინაიდან კარგი და ეთიკური სპეციალისტების რაოდენობა ძალიან ცოტაა და სხვების რეკომენდაციების საფუძველზე ამჯობინებენ ექიმებთან მისვლას.

თავი 5. ბრძოლა საჯარო სივრცისთვის

"ნამდვილი ფემინისტი ლესბოსური ცნობიერებითაა განმსჭვალული, იმის მიუხედავად, რეალურად ქალთან დაწვება თუ არა."

ოდრი ლორდი

"ქალებს შორის კავშირები მსოფლიოსთვის ყველაზე საშიში და პრობლემურია, მას ცვლილებების მოტანის ყველაზე დიდი პოტენციალიც აქვს."

ადრიან რიჩი

როგორც აღინიშნა, სტრესის ერთერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი, რომელსაც ძირითადად მინიშნებით ან გაკვრით ეხებიან და ხშირად სახელსაც არ არქმევენ - ძალადობა და სექსუალური შევიწროებაა. უკლებლივ ყველა მათგანს აქვს სექსუალური შევიწროების გამოცდილება, რაც ქალების საჯარო სივრციდან განდევნისა და დემორალიზების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. დასაქმებულთა უმრავლესობას თავისუფალი დრო ისედაც ნაკლებად აქვს. ვისაც დრო აქვს მეგობრებთან და პარტნიორებთან

ატარებენ მას (არავის დაუსახელებია ოჯახი, ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები). სოციალიზაციის ძირითადი სივრცე სახლი ან მეგობრების სახლებია, ნაკლებად ბარები, კლუბები და საჯარო სივრცეები. ამას აქვს ფინანსური განზომილება, რადგან ხშირად ამის საშუალება არ აქვთ. თუმცა, რადგან ზოგიერთ მათგანს სახლში დაბრუნების დროს უკონტროლებენ და, ზოგადად, საჯარო სივრცეები ქალებისათვის უსაფრთხო და ნაკლებად მეგობრულია ხოლმე, უმრავლესობა სახლში სოციალიზაციას ამჯობინებს მაშინაც კი, როცა ოჯახთან ერთად უწევს ცხოვრება. რეგიონებში ორგანიზაციები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სოციალიზაციის ფუნქციას, თუმცა თბილისში - ნაკლებად.

ქუჩაში მიძახების, აკიდების, შეურაცხყოფის გამოცდილება ყველას აქვს 2 რესპონდენტის გარდა. უმრავლეს შემთხვევაში ეს სექსუალური შევიწროებაა და ფიზიკურ შეხებასაც მოიცავს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ამ მხრივ ძალიან ხშირად არის ქალების სექსუალიზებისა და შევიწროების ასპარეზი. სექსუალური და სექსისტური შევიწროების გარდა, გენდერულად არაკონფორმული რესპონდენტები საუბრობენ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დამოკიდებულებაზეც. "ქუჩაში გოგოსთან ვიყავი, უფრო ამ გოგოს მიმართ იყო, ბიჭივით გამოიყურებოდა მათი თქმით. აგრესიული გამოხედვა, კომენტარები. თქვენ ლეზბიანკები ხართ." "მგონია, რომ გოგოები ქუჩაში ვერ გრძნობენ თავს კომფორტულად, ვიღაცა რაღაცას მოგაძახებს და შეიძლება მთელი დღე ჩაგაშხამოს".

უმრავლესობას პოლიციისთვის არ მიუმართავს. ვისაც მიუმართავს, ყვებიან ნეგატიურ, სექსისტურ და ჰომოფობიურ დამოკიდებულებაზე. პოლიციის მხრიდან აქეთ დადანაშაულება, ინერტულობა, და ძალის გამოყენება აქციების დროს (2018 წლის მაისის აქციების დროს) და მისი ინდივიდუალისტური და არასისტემური ხასიათი სექსუალური შევიწროებასთან მხოლოდ კანონით ბრძოლას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კითხვაზე, თუ რა გახდიდა საჯარო სივრცეს მათთვის უსაფრთხოს, ყველაზე ხშირად პასუხად განათლებას ასახელებენ. ცნობიერების ამაღლება, სექსუალური შევიწროების პრობლემაზე ხმამაღლა საუბარი მოიაზრება გადაჭრის გზებად. პოლიცია და კანონის აღსრულება ნაკლებად სახელდება პრობლემის გამოსავლად, რაც ზემოთ ხსენებული პოლიციისადმი პროტესტით და პოლიციელებთან ცუდი გამოცდილებით შეიძლება აიხსნას.

უსაფრთხო სივრცეების სიმწირე ქვიარ ქალების შემთხვევაში რიგ პრობლემებს ბადებს და ძალიან კარგად აჩვენებს ქალების საჯარო სივრციდან გარიყვის ტენდენციებს. ისედაც მწირ უსაფრთხო სივრცეებში ჩნდება შიდა - ჩაკეტილი ჯგუფებისთვის დამახასიათებელი პრობლემები - მათ შორის ყველაზე გავრცელებული იძულებითი ქამინგ-აუთია. 8 რესპონდენტმა მეგობრების ან/და თემის წევრების მიერ ძალადობის, მუქარის, იძულებითი ქამინგ-აუთის და შანტაჟის შემთხვევა დაასახელა. ზოგჯერ გაცნობიერებულად და ზოგჯერ სრულიად გაუცნობიერებლად ხდება ადამიანის ნების საპირისპიროდ მისი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნება.

ქვიარ თავშეყრის სივრცეები ქვიარ თემისთვის დღეს ბარები, კლუბი, ე.წ. პლეშკები,[1] და წვეულებებია (ჰორუმი და კიკი). თუმცა, ამ ადგილებში ქალები ზემოხსენებული მიზეზების გამო ნაკლებად დადიან. შესაბამისად, საკუთარი პრობლემებისა და გამოცდილების არტიკულირების, ერთმანეთთან დაკავშირებისა და მობილიზების შესაძლებლობები შეზღუდულია. ქვიარ აქტივიზმი დიდწილად არასამთავრობო ორგანიზაციებზეა მიბმული, თუმცა, ქვიარ ქალების წარმომადგენლობა ამ ორგანიზაციების მმართველობაში დაბალია. საბოლოოდ, ჯგუფი უხილავი და, გარკვეულწილად, თვითონ მოძრაობებს შიგნითაც მარგინალურია. ქვიარ ქალების პრობლემები ფემინისტური და ქვიარ მოძრაობის დღის წესრიგის ნაწილია. თუმცა, ერთადერთი შემთხვევა, სადაც საჯარო დემონსტრაციაზე ქვიარ ქალების პერსპექტივა დომინირებდა 2017 წლის ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მსვლელობა იყო.

ზემოხსენებულ აქციას "ფუსი ლიბერეიშენის" სახელი ეწოდა. სლოგანები "ჩემი ფუჩუ ჩემი საქმეა" და "ორგაზმი კაცების გარეშე" ყველაზე დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა. აქციამ ლგბტქი+ აბრევიატურაში "ლ" მონიშნა, რასაც შემდგომ კვირებში ძალიან დიდი მედია ყურადღება მოჰყვა. თუმცა, სექსუალური უფლებებისადმი მიძღვნილი აქცია ძალიან ფართოდ გაკრიტიკდა თვითონ აქტივისტების მხრიდანაც, ის არც საჯაროდ განიხილებოდა ქვიარ ქალების წინააღმდეგობა და ქვიარ ქალების მობილიზებისა და შემდგომი მოქმედების საკითხი დღის წესრიგში არ დაუყენებია.

ფემინისტური პერსპექტივიდან დემონსტრაცია რიგი მიზეზების გამო პრობლემურია. მისი ენა, სექსუალობის საკითხის ესენციალიზება მხოლოდ ბიოლოგიურად მდედრობითი სქესის ადამიანების პრობლემად და მკაფიო რეპროდუქციული და სქესობრივი უფლებების მოთხოვნების არარსებობა მას ნაკლებ მიმზიდველს ხდიდა აქტივისტებისთვისაც. თუმცა, ორი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოაჩინა: ქალების არაჰეტერონორმატიული სექსუალობისადმი საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც დაცინვაში და ღია აგრესიაში ვლინდებოდა, და, მეორე, ქვიარ ქალების როლი ფემინისტურ მოძრაობაში, სადაც მიუხედავად მათი აქტიური მონაწილეობისა, ქვიარ-ფემინისტური საკითხების არტიკულირება თვითონ ქვიარ ქალებისთვისაც კი რთულია. ღრმად გამჯდარი ჰომოფობიური განწყობების ფონზე პირველი გასაკვირი არ უნდა იყოს, თუმცა მანამდე ჩატარებული საჯარო პირების, პოპულარული ადამიანების, ეკლესიისა და პოლიტიკოსების ჰომოფობიური და მიზოგინიური ნარატივის კვლევა აჩვენებს, რომ ქალი, როგორც სიძულვილის სუბიექტი, გამქრალია. ერთი შეხედვით ჰომოფობია გეი კაცებს და გენდერულად არაკონფორმულ კაცებს მიემართება. ამ ნარატივში შეურაცხყოფილიც სწორედ ჰეტეროსექსუალი მამაკაცია (ტაბიძე, ბერაია, 2016). მეორე მხრივ, ჰომოფობიური განწყობების კვლევა საქართველოში აჩვენებს, რომ საქართველოში ლესბოსელი ქალების მიმართ სიძულვილი ძალიან მაღალია და გეიფობიაზე უფრო ძლიერიც კი (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2016). სიძულვილის ენა, რომლის რეგულირებაც ქართულ მედიაში დიდ პრობლემას წარმოადგენს, უდავოდ უწყობს ხელს ამ ტენდენციებს. თუმცა, ქალების, როგორც

[1] გეი და მსმ კაცები და ტრანსგენდერი ქალების, სექს-მუშაკების თავშეყრის ადგილი.

დამორჩილებული სუბიექტების მიმართ აგდებული დამოკიდებულება, მათ ერთი შეხედვით "აქრობს" ჰომოფობიური ნარატივიდან. წინამდებარე კვლევა და რაოდენობრივი მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ ეს სიძულვილის ნაკლებობას ნამდვილად ვერ მიეწერება. **ქალების კონტროლისა და დისციპლინირების უფრო ძლიერი მექანიზმები ნიღბავს იმ ძალადობრივ რეალობას, რომელშიც ქვიარ ქალები საზოგადოების და თავისი ოჯახის წევრების წყალობით ცხოვრობენ.**

შესაბამისად, ქვიარ ქალების წინააღმდეგობა დიდი მნიშვნელობისაა, ვინაიდან ის პატრიარქატის ერთერთ საფუძვლად მდებარე მექანიზმს - ქალების კაცების მიერ სექსუალურ დამორჩილებას, უქმნის საფრთხეს. როგორ უნდა ჩამოყალიბდნენ ქვიარ ქალები პოლიტიკურ ჯგუფად და ტრანსგენდერ, ფემინისტ და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან მოკავშირეებთან გაერთიანდნენ? უნდა იყოს ეს სეპარატისტული აქტივიზმი თუ კოალიციური? ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით მონაწილეებს არ აქვთ. ამჟამინდელი სიტუაციაც ოპტიმისტურად არ გამოიყურება. კვლევის მონაწილეები საუბრობენ იმ იმედგაცრუებაზე, რომელიც ზოგადად აქტივიზმში მიიღეს. მართალია, აქციებზე უმრავლესობა დადის ან დადიოდა. აქციების იმედი ნაკლებად აქვთ. 5 ადამიანი ყვება 2013 წლის 17 მაისს მიღებულ ტრავმაზე. აქციის შემდეგ ადევნების, ძალადობისა და შიშის გამოცდილებებზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო სივრციდან ქალების გარიყვა, სექსუალური შევიწროებითა და მათთვის გადაწყვეტილებების მიმღები პოზიციების შეზღუდვით, ქვეყანაში არსებული არადემოკრატიული და ჰომოფობიური პროცესებით, საჯარო თავშეყრისა და ზოგადად საჯარო სივრცეზე წვდომის დიდ პრობლემას ქმნის. უსაფრთხო სივრცეების შექმნა და ამ საკითხებზე საუბრის დაწყება აუცილებელია. ქალები გამოსავლად პოლიტიკურ მობილიზებას ნაკლებად ხედავენ და ორგანიზაციებისა და აქტივისტებისგან მათთვის საინტერესო და უსაფრთხო აქტივობების (სამაგიდო თამაშები, თვითდახმარების ჯგუფები, სპორტული და ღია ცის ქვეშ აქტივობები) საჭიროებაზე მიუთითებენ.

თავი 6. კიბერ უსაფრთხოება და ციფრული აქტივიზმი

ფიზიკური სივრცეების მსგავსი ტენდენციაა ციფრულ აქტივიზმთან მიმართებაშიც. სოციალურ მედიაში შესაძლო ჰომოფობიური თავდასხმებისა და ქამინგ-აუთის შიშის გამო 17 ადამიანი აზრს ვერ გამოხატავს და ფოტოს ვერ აქვეყნებს საკუთარი სურვილისამებრ. 2 ყოფილა ფაშისტების სამიზნე სოციალურ ქსელში, დანარჩენებს აქვთ სექსისტური და ჰომოფობიური გამოცდილება, თუმცა კიბერ სივრცეში ნაკლებად აქტიურობენ. ამბობენ, რომ 17 მაისისა და პრაიდის პერიოდში ღიად საუბრისგან განსაკუთრებით იკავებენ თავს. "უფრო ადრე ვდებდი ეგეთ რამეებს და ნათესავებს გადაკვრით უთქვამთ. ადრე მეგობართან დავაკომენტარე, ვიღაცას ეკამათებოდნენ და ვიღაც ნაცნობმა მომწერა, მერე სქრინი ანტი-

პარადოქსმა[2] დადო. მაგის მერე შევცვალე პროფილის რაღაცეები და შევზღუდე ვის შეუძლია ნახოს ჩემი პოსტები“, - საუბრობს ერთერთი რესპონდენტი და ამბობს, რომ ღიად აქტივისტად პოზიციონირებისგან თანამშრომლების და სამსახურის დაკარგვის შიშის გამო იკავებს თავს. კიბერ სივრცე ზოგადად არ მოიაზრება უსაფრთხოდ და კიბერ-უსაფრთხოების შესახებ ცოდნაც საკმაოდ მწირია. 6 მათგანი ამბობს, რომ მათი ტექნიკის გახსნა ან პირად გვერდზე შეღწევა უცდიათ. კიბერ-ბულინგი, ოჯახისა და ნათესავების მხრიდან ზეწოლა, ასევე ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან შესაძლო კიბერ თავდასხმები ონლაინ სივრცეში ღიად საუბრისა და პოზიციონირების, თვითგამოხატვის შესაძლებლობებს უზღუდავს მათ.

თავი 7. არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შეფასება

საჯარო სივრცისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომელიც ქვიარ ქალებისთვის ხშირად ერთადერთ უსაფრთხო სივრცეს წარმოადგენს. სერვისების მიწოდებისა და პოლიტიკის თვალსაზრისით ოთხი ორგანიზაციის საქმიანობას მიმოვიხილავთ. ესენია: “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი”, რომელიც უშუალოდ ლბტ ქალებთან მუშაობს, “თანასწორობის მოძრაობა”, რომლის პროფილი უფრო ფართოა და ლგბტ თემთან მუშაობს, ოფისები კი თბილისში ზუგდიდსა და თელავში ფუნქციონირებს. ორგანიზაციის საქმიანობა დიდწილად აივ-ის პრევენციასა და მსმ კაცებზეა მიმართული. მესამე შედარებით მცირე ორგანიზაცია “იდენტობა იუზ”, რომელიც ქუთაისსა და ბათუმში ფუნქციონირებს, ძირითადად სერვისებსა და საგანმანათლებლო აქტივობებს აწვდის თემის ადგილობრივ წევრებს. მეოთხე, ახლად შექმნილი ქვიარ ორგანიზაცია „თბილისი პრაიდია“, რომელიც სათემო ორგანიზაცია არაა და თბილისში პრაიდის ჩატარებას ისახავს მიზნად. ორგანიზაციის აქცენტი ხილვადობის გაზრდაა სხვადასხვა მედია აქტივობებით, პერფორმანსებითა და შეხვედრებით.

ყველაზე გავრცელებული აქტივობა, რომელსაც ყველა ორგანიზაცია აწყობს, საგანმანათლებლო შეხვედრებია. თითქმის ყველა რესპონდენტი დასწრებია რაიმე სახის სემინარს, ლექციას ან უორქშოპს. აქედან 12 მათგანი შეხვედრებს კარგად აფასებს, დანარჩენები საშუალოდ აფასებენ, ან არ დადიან, ან უარყოფითად აფასებენ. უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეხვედრები ერთი და იმავე თემებზეა და გამრავალფეროვნება სჭირდება. "ორგანიზაციებსაც უჭირთ თემის წევრებისთვის ისეთი საგანმანათლებლო და გასართობი აქტივობების შეთავაზება, რომელიც ამ აუდიტორიას დააინტერესებდა”, - ამბობს ერთი რესპონდენტი. შინაარსთან ერთად მნიშვნელოვანია საკითხების ისეთი მეთოდით შეთავაზება,

[2] ულტრა-მემარჯვენე გვერდი ფეისბუკზე, რომელიც სიძულვილის ენით და არასწორი ინფორმაციის გავრცელებით გამოირჩევა.

რომელიც უფრო მეტად დააინტერესებს აუდიტორიას. “უკეთესი იქნებოდა ინტერაქციული რომ იყოს უფრო და მრავალფეროვანი აქტივობებით გაჯერებული," - ამბობს მეორე რესპონდენტი.

ორგანიზაციების სერვისებიდან შედარებით ნაკლებად სარგებლობენ იურისტის მომსახურებით. 6-ს მიუღია იურისტის მომსახურება და კარგად აფასებენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იურისტის დახმარება პოტენციურად არ სჭირდებათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალადობასთან და შევიწროებასთან საბრძოლველად ქვიარ ქალები სამართლებრივ გზას ნაკლებად სახავენ. ის შემთხვევები, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტები არიან ჩართული მეტ წარმატებას აღწევენ (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2018). იურისტების დახმარება შეიძლება როგორც პოლიციასთან ურთიერთობისას, ისე ემოციური თვალსაზრისით დაეხმაროს და ამიტომაც აღწევდეს სასურველ შედეგს. შესაბამისად, საჭიროა, უფრო ეფექტური და პროაქტიური მუშაობა, რომელიც განსაკუთრებით ოჯახში და სექსუალური ძალადობის შემთხვევებს გამოავლენდა და ჰომოფობიური ნიშნით ძალადობას და დისკრიმინაციასთან ერთად განიხილავდა.

ცოტა ადამიანი იყენებს ფსიქოლოგის სერვისს. აქედან 4 დადებითად აფასებს, 2 სხვადასხვა ფსიქოლოგს ცუდად აფასებს. უფრო ერთგვაროვანია პოზიციები სოციალურ მუშაკთან მიმართებაში. 5-ს მიუღია სოციალური მუშაკის მომსახურება და კარგად აფასებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგის მომსახურება საკმარისი არ არის. რესპონდენტები აღნიშნავენ ხანგრძლივ რიგებზე ფსიქოლოგთან ჩაწერისას. ფსიქიატრის მომსახურება მხოლოდ 3-ს მიუღია და კარგად აფასებენ. ფსიქიატრის საჭიროებაზე საუბარი რთულია, ვინაიდან სტიგმის გამო ბევრი ამ მომსახურებით სარგებლობასა და პრობლემაზე საუბარს თავს არიდებს.

სხვა სამედიცინო მომსახურებების მიღება უფრო მეტად ამ მომსახურების არარსებობასთან ან მათ შესახებ არცოდნასთანაა დაკავშირებული. მხოლოდ 3-ს მიუღია გინეკოლოგის მომსახურება და ბევრმა არც იცოდა ამ მომსახურების შესახებ. უმრავლესობა ამბობს, რომ გინეკოლოგის მომსახურება და სქესობრივი გზით გადამდებ სხვადასხვა დაავადებაზე შემოწმება უფასო თუ იქნებოდა, უფრო ხშირად მიიღებდა ამ მომსახურებას. სექსოლოგის, დერმატოლოგის და ა.შ. მომსახურებები ნაკლებ რელევანტურად ითვლება და ძალიან ცოტა ადამიანი სარგებლობს.

მთლიანობაში 10 რესპონდენტს არ დასჭირვებია ის სერვისები, რომელიც არ მიუღიათ. დანარჩენები ასახელებენ მიმართვისას უხერხულობის განცდას, რეგიონებში ამ სერვისების არარსებობას, სამედიცინო სერვისების შესახებ არცოდნას. რაც ნიშნავს, რომ ორგანიზაციებმა მეტი ძალისხმევა უნდა ჩადონ არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, ასევე მათი პრევენციული დანიშნულების ახსნაში და ქალებისთვის უფრო მეგობრული პროფესიონალების შერჩევაში. ასევე შემდგომ განხილვას საჭიროებს, რომელი მეთოდი უფრო კარგად მუშაობს: ბენეფიციარების გადამისამართება შესაბამის ექიმთან და მათი მომსახურების საფასურის ანაზღაურება ორგანიზაციის მიერ, თუ ამ მომსახურებების გაცემა თვითონ ორგანიზაციის ოფისიდან. პირველი, მეტ ანონიმურობას უზრუნველყოფს, თუმცა მეორე მიდგომა მეგობრულ გარემოს სთავაზობს საავადმყოფოს ნაცვლად. ამაზე მეტი

ინფორმაციაა შესაგროვებელი და შესაბამისი გადაწყვეტილებები მისაღები. რეგიონებში აუცილებელია ფსიქოლოგის, სექსოლოგის, გინეკოლოგის, იურისტის მომსახურების საჭიროების მიხედვით დამატება.

რაც შეეხება ორგანიზაციების პოლიტიკას და ფუნქციონირებას სერვისებს მიღმა უმრავლესობა ვერ ხედავს პრობლემებს, თუმცა არც ერთს არ აქვს სრული ინფორმაცია ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. რამდენიმემ ახსენა ხილვადობის პოლიტიკის პრობლემურობა და საგანმანათლებლო კომპონენტის წინ წამოწევის საჭიროება. ხილვადობის პოლიტიკას ზოგი განიხილავს ნეგატიურ კონტექსტში, როგორც თემის სხვა პრობლემების უგულებელყოფას და თავს მოხვეული დღის წესრიგის გატარებას, რომელიც საბოლოოდ მეტ საფრთხეს იწვევს, ვიდრე სარგებელს. თუმცა, გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ხილვადობის ნაკლებობაა და მეტი უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით. ერთერთი რესპონდენტი ამბობს, რომ საჭიროა მეტი მუშაობა "რომ საზოგადოებას მიახვედრონ, რომ არ ვართ საზიზღრები და რომ არ უნდა გაგვარჩიონ ორიენტაციის მიხედვით." ქამინგ-აუთი დასახელდა მნიშვნელოვან პრობლემად. ერთმა რესპონდენტმა ახსენა, რომ კარგი იქნება იყოს პროგრამები მშობლებისთვის "რათა ადამიანებს ქამინგ-აუთი გაადვილებოდათ".

ასევე ორგანიზაციების პოლიტიკის შესახებ არავინ ფლობს ინფორმაციას, ერთმანეთში ერევათ „თბილისი პრაიდი“, „თანასწორობის მოძრაობა“. არ იციან, როგორ ნაწილდება ორგანიზაციების ბიუჯეტი, რა საკითხებზე მიდის ლობირება სახელმწიფოსთან. რაც გამოწვეულია ორგანიზაციების დახურული პოლიტიკითა და ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვით. ასევე მიუთითებენ პრობლემებს საკადრო პოლიტიკაში. ამბობენ, რომ ორგანიზაციებში გუნდურობის ნაკლებობაა და თუ არ მეგობრობ და იცნობ თანამშრომლებს ძნელია დასაქმება და სოციალიზაცია.

უფრო დემოკრატიული პოლიტიკის მისაღწევად ასახელებენ მეტ გამჭვირვალობას, ფინანსური პრიორიტეტების გადალაგებას უფრო ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების წინ წამოწევით, საგანმანათლებლო შეხვედრებს, მეტ კომუნიკაციას ორგანიზაციებს შორის და თემთან. თუმცა, ეს ყველაფერი პოლიტიკურ დონეზე უფრო კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი ამბობს. მისი აზრით, ორგანიზაციები უნდა იყოს საწევრო და წევრების ჩართვა გადაწყვეტილების მიმღებ პროცესში უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას და დემოკრატიულობას. ორმა რესპონდენტმა ასევე მიუთითა სახელმწიფოს როლზე. სერვისები, რომელსაც დღეს ორგანიზაციები გასცემენ, უნდა იყოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ მათი გადაბარება.

დაბოლოს, დიდი განსხვავებაა რეგიონებსა და თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციებსა და რესურსებს შორის. რეგიონებში ორგანიზაციები ქვიარ-ქალებისთვის ერთადერთი უსაფრთხო სივრცეა სოციალიზაციისთვის, თუმცა მათ მიერ შეთავაზებული სერვისების რაოდენობა ბევრად ნაკლებია. თბილისში ორგანიზაციების მიმართ უფრო არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. რესურსებიც მეტია და სერვისებს ორი დიდი ორგანიზაცია უზრუნველყოფს, მაგრამ მაინც მიუთითებენ მოთხოვნადი სერვისების (ფსიქოლოგის მომსახურება) სიმწირეზე და ქალებისთვის სპეციფიკური გარკვეული მომსახურებების ნაკლებობაზე. პოლიტიკის დონეზე სისტემური ცვლილებების ხედვა

მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტს აქვს, თუმცა არსებული პრობლემების გააზრება გლობალურია და არა ინდივიდუალური.

თავი 8. დასკვნა

დასასრულ, შეიძლება რამდენიმე ზოგადი დასკვნა გავაკეთოთ.

უპირველესად, ქვიარ ქალების გამოცდილება სპეციფიკურია საზოგადოებაში მოქმედი ჰომოფობიური და სექსისტური მიდგომებიდან გამომდინარე. ქვიარ ქალების უსაფრთხოება და მათზე ძალადობა დიდწილად ოჯახში ხდება, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ განზომილებას ატარებს. ისედაც არასახარბიელო შრომით ბაზარზე ქალებს კიდევ უფრო უჭირთ დასაქმება და დაწინაურება. განათლების სფეროშიც ძალიან ხშირად დისკრიმინაციას აწყდებიან. შედეგად, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობები იზღუდება. ძალიან ძნელია გაიმიჯნოს სექსისტური და ჰომოფობიური დამოკიდებულებები სამუშაო ადგილას და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიუხედავად რთულია მისი მტკიცება. ეს გამოწვეულია როგორც სამუშაო ბაზრის დერეგულაციით, ისე ქამინგ-აუთის შიშით. სწორედ ამიტომ, უმრავლესობას საკუთარი იდენტობის დამალვა უწევს ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან და ა.შ. მეგობრებისგან შედარებით მეტ თანადგომას იღებენ, თუმცა სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შემთხვევებში მეგობრების მხრიდან დახმარებაც შეზღუდულია. სექსუალური ძალადობა არასრულწლოვნებზე და შემდეგ მსხვერპლის დადანაშაულება ქალებისთვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

თუმცა, ქვიარ ქალების მიმართ დისკრიმინაცია და კონტროლი ყოველთვის ღიად ძალადობრივი არ არის. ისინი საუბრობენ ოჯახის მხრიდან მათი გადაადგილების, სახლში დაბრუნების, დასაქმებისა და სწავლის მუდმივ კონტროლზე, რომელსაც, როგორც წესი, თავს ბრძოლის ფასად აღწევენ. საზოგადოების მხრიდან მსგავსი შეფარული კონტროლის მექანიზმი საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებაა, რომელიც ტრანსფობიურ, ჰომოფობიურ და სექსისტურ ხასიათს ატარებს. სექსუალური შევიწროების ამოცნობის მიუხედავად, რესპონდენტები ძალიან იშვიათად მიმართავენ პოლიციას. ზოგადად, პოლიციასთან ნეგატიურად არიან განწყობილი, რაც ამ უკანასკნელის ჰომოფობიური, სექსისტური, გულგრილი დამოკიდებულებით და ქამინგ-აუთის შიშით იხსნება.

ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილება პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ჯანმრთელობის პრობლემებს. ყველაზე დიდი პრობლემა ჯანდაცვაში უსახსრობა და ქალებისადმი მეგობრული სერვისების სიმწირეა. ძალიან მძიმე მდგომარეობაა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივაც. სუიციდურობის და დეპრესიულობის მაღალი ტენდენციები ხშირად უგულებელყოფილი რჩება ფსიქიატრის და ფსიქოლოგის დახმარების სიძვირის, უფასო მეგობრული სერვისების სიმწირისა და ამ სერვისების მიღების სტიგმის გამო. რეგიონებში განსაკუთრებით საჭიროა ამ და სხვა სერვისების დამატება.

მიუხედავად არსებული მძიმე მდგომარეობისა და ქვიარ ქალების უხილავობისა, ვხედავთ ინდივიდუალური თუ კოლექტიური წინააღმდეგობის მცირე ნიშნებს, რომელიც ჯერ, სამწუხაროდ, პოლიტიკურ ენას ვერ პოულობს. ქალები, მიუხედავად არსებული სექსიზმისა და ჰომოფობიისა, აგრძელებენ სწავლას, მუშაობასა და ბრძოლას კეთილდღეობისთვის. ხშირად ეხმარებიან ოჯახის წევრებსაც. საჯარო და კიბერ სივრცეების შეზღუდვა და მათი განდევნა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მობილიზებისთვის, ამიტომ აუცილებელია ქვიარ-ქალებისთვის უსაფრთხო სივრცეების შექმნის შესაძლებლობების გაზრდა. ვინაიდან, მათი ინტერესები ნაკლებადაა დაკავშირებული ბარებსა და ღამის ცხოვრებასთან, ორგანიზაციებმა და აქტივისტებმა უნდა იფიქრონ ალტერნატიულ გასართობ და შემეცნებით აქტივობებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ძალიან დიდია ქვიარ-ქალების გაძლიერებაში. თუმცა, ბევრმა არ იცის ორგანიზაციების პოლიტიკის შესახებ. აუცილებელია, უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული მოწყობა, საკუთარი საქმიანობისა და ბიუჯეტის მუდმივად გაცნობა თემისთვის, მეტი კომუნიკაცია და თემის წევრების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა.

გამოყენებული ლიტერატურა

Alcoff L. (1991) The Problem of Speaking for Others Cultural Critique, No. 20. (Winter, 1991-1992), pp. 5-32.

Berkowitz E. (2012) How Frightened Patriarchal Men Have Tried to Repress

Women's Sexuality Through History; www.alternet.org

Harding S. (1993) Thinking gender: Rethinking Standpoint Epistemology: What is "Strong Objectivity" Routlege: New Yorke

საქართველოს პარლამენტი (2006) საქართველოს კანონი. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების. შესახებ, მოძიებულია 1 აგვისტოს, 2019 https://bit.ly/2QE3OKD

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2012) ლბტ ქალთა მდგომარეობა საქართველოში: ჩრდილოვანი ანგარიში, თბილისი

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2016) "წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ადამიანებისადმი, ბიოლის ფონდი: თბილისი

ტაბიძე მ. & ბერაია ა. (2016) რუსეთის რბილი ძალა საქართველოში: ელიტების ჰომოფობიური, ტრანსფობიური და ჰეტერონორმატიული დისკურსი, EMC, თბილისი, მოძიებულია 1 აგვისტოს, 2019 https://bit.ly/2JLK02B

ქაჯაია მ. ბერაია ა. ტაბიძე მ. (2016) ლესბოსელი ქალების რეპროდუქციული განწყობები, EMC: თბილისი, მოძიებულია 1 აგვისტოს, 2019 https://bit.ly/2CWIjNH